ცვლილებები ძალაშია 02/05/2019 -დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალოს საბანკო მომსახურების პირობების 29[1] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 29[1]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“ / „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტული მომსახურება“ / „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ“ (“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“).

2. საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობა („ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“) გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ.

3. საბაზისო საბანკო პროდუქტებში („ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტული მომსახურება“/“ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება“) შემავალი საბანკო პროდუქტებია:

3.1. ერთი მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში;

3.2. ინტერნეტ ბანკინგის სრული პაკეტი;

3.3. ვიზა ბიზნეს ბარათი (1 ცალი);

3.4. 2 ცალი სადეპოზიტო ბარათი (აღნიშნული პროდუქტი არ შედის “ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სტანდარტულ მომსახურებაში“);

3.5. SMS მომსახურება (1 აბონენტზე);

3.6. ავტომატური გადარიცხვა;

3.7. სატელეფონო პინ–კოდი.“